

გაზეთი ბეჭედი, „ვერსიი“ ერთი

საქართველოში ყოველ
პირველ მოქალაქეზე

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№92 (987) 1 - 2 მომთხრობი, 2014 წელი



გვ. 9

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხები ისევ არამიზნობრივად იხარჯება



აუნაბღაურებს თუ არა გიორგი მარგვედაშვიდი აჭარისა და გურიის მოსახლეობას სტიქიით მიყენებულ ზარადს

დაზარალებულთაგან 40 მილიონი ლარია განსაზღვრული

ინტერვიუ სასჯელსრულების მინისტრის მოადგილესთან

რამდენი პაციენტი შიმშილობს, ანუ თუ არა ნაციონალები ბუნებს და გაუქმდება თუ არა №7 საპრობიდე



გვ. 3

ნიკოლოზ ვაშაქიძე: „პოლიტიკურ თამაშებში საქართველო ყველანაირად გადარჩება“

ვინ შესთავაზა ამერიკას საქართველოში სირიელი ამბოხებულების განვითარება და შექმნის თუ არა ნაციონალებთან აღიარება ირავი აღსანიშნავი

გვ. 6

ვიქტორ დოლიძე: „არ მესმის, ისრაელს ირაკლი ალანანიასკენ რატომ იხვრია“

გვ. 4

მოღალატირებული ქრონიკის გუნდი მოღალატირებულად ეგზალატირება



რა გავა ახადი ტედუვიზიის ეთერში?!

გვ. 2

ზურაბ ალიშვილის „მსხვერპლის“ მოჩვენებითი სიბიჭე

როგორ „შეყენეს“ დათო მ.-ს აგვისტოს ომის დროს, უკრაინიდან იარაღის შემოსაყენად გამოყოფილი 3 მილიონის გაფრანგვის საქმე და როგორ დააღწია თავი 17-ნდის პაციენტობას

გვ. 8



პაციენტობის მსხვერპლი

გიორგი იაშვილი

ალბათ ყველას გახსოვთ, მოდელირებული „იმედის“ ეთერში ქრონიკის გასვლის შემდეგ, რამოხდა. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პანიკაში იყო და სატელევიზიო შოკს მაშინ რამდენიმე ადამიანიც ემსხვერპლა. გაგიკვირდებათ და (პრინციპში, მაშინ გაგიკვირდა), ამის მიუხედავად, მაშინ არავინ დასჯილა და პირიქით, ჟურნალისტებს, რომლებმაც მოდელირებული ქრონიკა მოამზადეს, პრემიებიც კი ჩამოურიგეს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოდელირებული ქრონიკის ავტორები თითქოს ტელესივრციდან გაქრნენ, მაგრამ მათ ძველი ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ საინფორმაციო სააგენტოებში, რადიოებსა და ინტერნეტ-ტელევიზიებში გადაინაცვლეს. როგორც ჩანს, პრინციპი, ძალა ერთობაშიაო, ახლა გაახსენდათ და, კულუარული ინფორმაციით, ეს გუნდი ისევ ერთად იკვრება.

მედიასივრცეში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ მალე საზოგადოება ინტერნეტ-ტელევიზიას — „ფრეზ ნიუსს“ იხილავს, მისი ხელმძღვანელი კი ცნობილი ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი იქნება. თუმცა ამაზე მეტად საინტერესო ის შემადგენლობაა, რომელსაც ერეკლე კოდუას მუდღეუ ამ არხზე მიიწვევს. ერთ-ერთი ვერსიით, ახალ ტელევიზიაში იმუშავენ მათე კირვალიძე, რომელიც მაშინ „იმედის“ პროდიუსერი იყო და მოდელირებული ქრონიკის ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ. ასევე ნინო გაბრიაძე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ახალ ტელევიზიაში სტუდია აანყო და, რაღა თქმა უნდა, არხზე იმუშავენ ნოდარ მელაძე, რომელიც ამჟამად გიორგი გაბუნას პროდიუსერია. წინასწარი ინფორმაციით, დამფინანსებელი და ტელევიზიის წელში გამმართველი ნანუკა ჟორჟოლიანი იქნება.

ახლა ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს შემადგენლობა ერთ მდინარეში ორჯერ შევა და მორიგ მოდელირებულ ქრონიკას აახლებს საზოგადოებას, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები ისევ ერთად არიან და მათ ნანუკა ჟორჟოლიანი უხელმძღვანელებს, ბევრ რამეზე მეტყველებს. არავინ დავობს გუნდის პროფესიონალიზმზე. სხვა საკითხია, რამდენად სწორად იყენებენ ამ პროფესიონალიზმს, თუმცა ამაზე, ალბათ,

მოდელირებული ქრონიკის გუნდი მოდელირებულად ემზადება



რა გავა ახადი ტელევიზიის ეთერში?!

საფუძვლიანად, არხის ეთერში გასვლის შემდეგ შეგვეძლება მსჯელობა.

ამ შემადგენლობიდან ყველა (მათ შორის ჟორჟოლიანაც) თავის დროზე „იმედიდან“ წასვლა გააპროტესტა, აქაოდა პოლიტიკური ნიშნით გვიშვებენო, არადა, წინა ხელისუფლების პირობებში, არც ერთი (ვიმეორებთ — არც ერთი) ჟურნალისტი ამ არხზე არ მუშაობდა, თუ წინა ხელისუფლების მიმართ სიმპათიები არ ჰქონდა და ეს მწარე რეალობაა. რეალობა ისიც, რომ პოლიტიკური ნიშნით დევნილი ჟურნალისტები არათუ

სხვა არხზე მიდიოდნენ, არამედ საერთოდ ქუჩაში რჩებოდნენ და სამსახურის შოვნის იმედიც კი არ ჰქონდათ.

წინასწარი ინფორმაციით, მზადდება რამდენიმე თოქ-შოუ, რომელიც პირდაპირ იქნება მიმართული იქითკენ, რომ მოსახლეობაში შეიქმნას ნეგატიური განწყობა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ და ყველაფერი წარმოჩნდეს ისე, თითქოს ქვეყანაში არაფერი კეთდება. საამისო გამოცდილება ამ ჯგუფს ნამდვილად აქვს, რადგან არაფრისგან ამბის შექმნა არაერთხელ გვინახავს — ახალი ამბები სად კეთდებოდა, ხომ გახსოვთ?!

მთავრობის სტომა



მაია მიშელაძე
593-51-90-12
საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა 30 სექტემბერს, მთავრობის სხდომაზე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარადგინა. ხადურის განმარტებით, მომავალ წელს მაკროეკონომიკური პარამეტრები ეკონომიკის 5%-იანი ზრდისა და 4%-იანი ინფლაციის მიხედვით დაიგეგმა. ამ პარამეტრების გათვალისწინებით, 2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 31 780 000 000 ლარი იქნება.

ისევე, როგორც 2013-2014 წლების ბიუჯეტები, 2015 წელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის — „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესრულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ბიუჯეტის პროექტში შენარჩუნებულია სოციალურ და ეკონომიკის წამახალისებელ პროგრამებზე ორიენტაცია, რაც აისახება შესაბამისი სამინისტროების ასიგნებებში.

2015 წელს, გრანტებისა და საერთაშორისო კრედიტების ჩათვლით, სახელმწიფო ბიუჯეტი 9 400 000 000 ლარით დაიგეგმა, ხოლო თვითონ ბიუჯეტი 8 600 000 000 ლარი იქნება.

ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაწილის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება, სუბსიდიის მუხლის ნაცვლად, გათვალისწინებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლებში, რის გამოც ხოლოდ კულტურის სამინისტროში, შრომის ანაზღაურების ფონდი 49 900 000 ლარით გაიზარდა, ხოლო სუბსიდიები — 53 100 000 ლარით შემცირდა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განმარტა, მომდევნო წელს საგრძობლად გაიზარდა სოციალური და ჯანდაცვის, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 92 000 000 ლარით გაიზარდა და 2 750 000 000 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხის ფარგლებში, სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა — 2 010 000 ლარით დაფინანსდება, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 600 000 000 ლარით დაიგეგმა

ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების დაფინანსება იზრდება

— 652 600 000 ლარით, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის, ბიუჯეტში 35 000 000 ლარია გათვალისწინებული.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 955 000 000 ლარი, რაც დაგეგმილზე 80 000 000 ლარით მეტია. ამ თანხის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურა — 588 300 000 ლარით, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია — 216 900 000 ლარით, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია — 140 600 000 ლარით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 828 900 000 ლარი. აქედან ზოგადი განათლების დასაფინანსებლად — 479 800 000 ლარი, პროფესიული განათლების დასაფინანსებლად — 36 000 000 ლარი, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად — 155 000 000 ლარი, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურისთვის — 110 000 000 ლარია გათვალისწინებული.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო 625 000 000 ლარით დაფინანსდება. სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტასა“ და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება გადატანილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში,

ხოლო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი წარმოდგენილია დამოუკიდებელ მხარეზე დაწესებულებად.

მომდევნო წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო 600 000 000 ლარით, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 291 000 000 ლარით დაფინანსდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის — 100 000 000 ლარია გამოყოფილი, შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის — 36 000 000 ლარი, მცირემზიანი ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისათვის — 50 000 000 ლარი.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 2015 წელს 155 000 000 ლარით დაფინანსდება, ენერჯეტიკის სამინისტრო — 135 000 000 ლარით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო — 120 000 000 ლარით, საგარეო საქმეთა სამინისტრო — 100 000 000 ლარით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო — 85 000 000 ლარით, იუსტიციის სამინისტრო — 65 000 000 ლარით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტრო — 60 000 000 ლარით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო — 55 000 000 ლარით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო — 35 000 000 ლარით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის, ჯამში 300 000 000 ლარია გათვალისწინებული. მიმდინარე წელთან შედარებით, გაზრდილია მთავრობის სარეზერვო ფონდი, რომელიც 70 000 000 ლარს შეადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა 54 100 000 ლარითაა გაზრდილი და 850 000 000 ლარს შეადგენს. იმის გამო, რომ ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების სტატუსიკური მონაცემები ზუსტდება, შესაძლოა, გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა შეიცვალოს.

ინტერვიუ სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილესთან



რამდენი პაციმარი შიმშილობს რეაღრა, იმართება თუ არა ციხე გარედან, აწყობენ თუ არა ნაციონალები ბუნცს და გაუქმდება თუ არა №7 საპყრობილე

რუსუდან შელია
557-100-768

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პაციმრები მასობრივი შიმშილობის დაწყებას გეგმავენ, „ბუნცის“ პროვოცირებას კი ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, მართული ადვოკატებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფების საშუალებით. აქცია ჩატარდა №7 საპყრობილესთან, სადაც პაციმრების ოჯახის წევრებმა ციხეში გაუსაძლისი პირობები და ადმინისტრაციის მხრიდან პაციმრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა გააპროტესტეს. იმართება თუ არა ციხე გარედან და რა ინფორმაცია აქვს უწყებას ნაციონალური მოძრაობის გეგმების შესახებ? საპაციმროებში არსებულ ვითარებაზე „ვერსიას“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე არჩილ თალაპკაძე ესაუბრება.

— მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე საპაციმროში, მათ შორის, №7 და №17 საპყრობილეებში ათეულობით პაციმარი შიმშილობს. კონკრეტულად რამდენი პაციმარი შიმშილობს და რომელ დაწესებულებებში?

— შიმშილობა სასჯელაღსრულების სისტემაში პროტესტის ჩვეული ფორმაა. ამ ეტაპზე, №7 დაწესებულებაში 11 ადამიანი შიმშილობს და კრიმინალური ავტორიტეტების ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვს, რასაც აღსრულებას ადმინისტრაცია არასოდეს დათანხმდება; რაც შეეხება ზოგადად პაციმრების შიმშილობის მიზეზებს, ისინი ძირითადად სასამართლოს განაჩენს აპროტესტებენ და საქმეების გადახედვას ითხოვენ. ხაზგასმით ვაცხადებ, იმ რესურსების ფარგლებში, რაც დღეს ქვეყანას გააჩნია, პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დასაცავად ჩვენი სამინისტრო მაქსიმუმს აკეთებს. სამინისტროსა და სახელმწიფოსთან „შიმშილობის ენაზე“ საუბარი კი, მოძველებული და არაეფექტური ფორმაა. ვერ ვიხსენებ ერთ შემთხვევასაც კი, როცა პაციმრების შიმშილობის შიშით, კონკრეტული გადაწყვეტილება მიგვეღო ან შეგვეცვალა. ჩვენ მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ.

— შიმშილობა არც პაციმრებს ეხალისებათ. საპარლამენტო არჩევნებამდე თავად „ქართულმა ოცნებამ“ შეუქმნა მსჯავრდებულებს ილუზია, რომ მათი განაჩენები გადაიხედებოდა. დაპირების შესრულება დღემდე არ დაწყებულა.

— მსგავსი დაპირება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არ გაუცია. ჩვენი ამოცანა და მოვალეობაა, პაციმრების სასჯელის მოხდა უზრუნველყოს და მათ ჩადენილი დანაშაულის გააზრებასა და გამოსწორებაში დაეხმაროს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, როცა სასჯელის შეკრებითობის პრინციპი გაუქმდა და ამინსტიაც გამოცხადდა, სასამართლომ 18 ათასამდე პაციმრის საქმე განიხილა. პარალელურად, ასობით საქმე პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიამაც შეისწავლა. დღეს სასჯელებიც დანაშაულთან მიმართებაში ბევრად ადეკვატურია, ვიდრე ეს წარსულში იყო. ყოველ შემთხვევაში, ციხეებში კაკლის ქურდობისთვის 6 წელიწადმისჯილი ბავშვები ან ნაღის დანვისთვის 8-წლით დაკავებული მოხუცი ქალბატონები არ გვხვდებიან. მსგავსი ანომალიის დრო დასრულდა.

— რამდენიმე დღის წინ, №7 საპყრობილესთან, რომლის დახურვას სახალხო დამცველი დიდი ხანია ითხოვს, პაციმრების ოჯახის წევრებმა ადმინისტრაციის მხრიდან პაციმრებზე ზეწოლა გააპროტესტეს. ბოლო ხუთ თვეში 11 პაციმარი გარდაიცვალა, ერთს კი სასტიკად სცემეს. ნაცემი პაციმარი ადვოკატთან აცხადებს, რომ პაციმრები თვითმკვლელობამდე ძლიერი ზეწოლის შედეგად მიდიან. ეს ფაქტები არ ნიშნავს, რომ ციხეებში ვითარება არ გაუმჯობესებულა?

— №7 საპყრობილე თუკი ოდესმე დაიხურება (იმედია, მალე), ეს მოხდება არა იმიტომ, რომ მშობლები ან პაციმრები ითხოვენ, უბრალოდ, კარგად ვიცით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების დაწესებულება. ორი წლის განმავლობაში საქართველოში სამი ყველაზე საშიშველი ციხე დაჯიხურეთ — ზუგდიდის, ბათუმისა და თბილისის. თავის დროზე, ისინი, თავლად და სანყობად აშენდა. წინა ხელისუფლებას მათი დახურვისკენ ბოლო 7-8 წლის განმავლობაში, ყველა

ანგარიშიში ამოდ მოუწოდებდნენ. ასე რომ, როცა რამეა დასახური და ამის რესურსი არსებობს, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ვერავინ დაგვასწრებს. ამ შემთხვევაში, საუბარია დაწესებულებაზე, სადაც ყველაზე მაღალი რისკის შემცველი კრიმინალები იხდიან სასჯელს. ბუნებრივია, მის დახურვასა და პაციმრების სხვადასხვა საპაციმროში გადანაწილებას ადმინისტრაცია არ აპირებს. გვესმის, ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელია, მაგრამ არსებობს სამინისტროს გეგმა, რომელსაც ეტაპობრივად ვასრულებთ. რაც შეეხება პაციმრების ოჯახის წევრების განცხადებებს. ყველა დაწესებულებაში პაციმრებთან ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მუშაობენ, რომლებიც ცდილობენ, მსჯავრდებულებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინონ. რეპრესიებზე საუბარი სასაცილოა. სტატისტიკის მიხედვით, 2010 წელს 144 პაციმარი გარდაიცვალა. 2011 წელს — 132, 2012 წელს — 67 (მათგან 58 წლის პირველ ნახევარში). 2013-2014 წლებში პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მიმართულებით რეფორმები გატარდა. 2013 წელს 25 პაციმარი გარდაიცვალა, 2014 წელს კი, 18 პაციმრის გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ხშირად არასწორი ინფორმაცია ვრცელდება და ცალკეული ფაქტების ანგაჟირება ხდება. დღეს ერთ შემთხვევაზე ვაქცილებით მეტი ხმაურია, ვიდრე წინა წლებში 50 პაციმრის ნამებაზე. ამ მიმართულებით კვლევა ჩავატარეთ, სადაც კარგად ჩანს, რომ წლების განმავლობაში გარდაცვალების ფაქტები დაფარული და გასაიდუმლოებული იყო. ამაზე სახალხო დამცველი გიორგი ტულუშიც საუბრობდა. ამ მიმართულებით საქართველოს სერიოზული პროგრესი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ 18 ადამიანის სიკვდილი ჩვენთვის ტრაგედიაა, თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ პენიტენციურ სისტემაში ისეთი ადამიანები იხდიან სასჯელს, რომელთა ქცევა მშვიდობიანი და ნორმალური არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საპყრობილეებში არ აღმოჩნდებოდნენ. რაც შეეხება პაციმრის ადვოკატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ერთი კითხვა მაქვს — თუ ციხის ადმინისტრაცია მონსტრია და პაციმრებზე ზეწოლას ახორციელებს, ნაცემი პაციმარი საკუთარი უფლებებისთვის როგორ იბრძობება?

— ეს კითხვა არგუმენტად არ გამოდგება — ნაციონალური მოძრაობის დროსაც ვრცელდებოდა მსჯავრდებულების წამების ამსახველი ფოტოები. იქნებ პაციმრისთვის, რომელზეც ადმინისტრაცია ძალადობს, ფაქტის განმარტება გადარჩენის ერთადერთი შანსია?

— წინა ხელისუფლების დროს 795 პაციმარი გარდაიცვალა და ოთხი შემთხვევის გარდა, ვერ ვიხსენებ ფაქტს, როცა ამის შესახებ საზოგადოების ფართო მასებისთვის გახდა ცნობილი. თუ პაციმარი ხმას ამოიღებდა, ფიზიკურად უსწორდებოდნენ. დღეს ნებისმიერ ასეთ ინფორმაციას ბოლომდე მივყვებით, მაგრამ როგორც წესი, საბოლოოდ ირკვევა, რომ პაციმრების მიმართ ადმინისტრაციამ მხოლოდ პროპორციული ძალა გამოიყენა. როცა პაციმარი ბადრაგს ეწინააღმდეგება და კანონს არ ემორჩილება, შესაძლოა ხელბოკილები დაადონ და ერთი ადგილიდან მეორეში ძალის გამოყენებით გადაიყვანონ. ხშირად ეს სხეულზე დაზიანებებს იწვევს, რომელსაც ექიმი აღწერს. არ არსებობს შემთხვევა, როცა ექსპერტიზამ პაციმრის დაზიანებები უპოვა, ექიმს კი იგივე დაზიანებები აღწერილი არ ჰქონდა.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობა ციხეებში, მართული ადვოკატებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დახმარებით, მასობრივი შიმშილობის პროვოცირებას ცდილობს. ადასტურებთ, რომ ციხეებში ქაოსის გამოწვევა ხელოვნურად შესაძლებელია და მას საპარლამენტო ოპოზიცია ხელმძღვანელობს?

— ციხეს, როგორც გარედან, ისე შიგნიდან, სახელმწიფო მართავს. შიგნიდან — ადმინისტრაციის საშუალებით, გარედან — სწორი პოლიტიკის გატარებით. დღეს პენიტენციურ სისტემის გარედან მართვის სხვა ფაქტორებს ვერ ვხედავ. ვილაკებ ცდილობენ, პროცესებზე გავლენა შეიტანონ და გარეთაც მოიპოვონ, მაგრამ სამართალდამცავი სისტემა მსგავს მცდელობას სათანადოდ უპირისპირდება. ამის გამო, არაერთი ადამიანია გასამართლებული. იმასაც ცდილობენ, ციხეებში არსებული ვითარება ხელოვნურად დაამძიმონ და სპეცფექტების საშუალებით საზოგადოება დაარწმუნონ, თითქოს პენიტენციურ სისტემას სახელმწიფო ვერ აკონტროლებს. ციხეებში ძალადობის ფაქტები ყოველთვის იქნება, მაგრამ მთავარია, სახელმწიფო თითოეულ შემთხვევაზე ადეკვატურად რეაგირებს. წინა წლებში ომბუდსმენის ანგარიშიში პაციმრების წამების ფაქტები მეტყველებით გადადიოდა. დღეს მხოლოდ სამი ფაქტია დაფიქსირებული და სამივე გამოძიებულია.



საპატრულო პოლიცია ყაჩაღობის ფაქტი სხალ კვალზე გახსნა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული თამაზ პ. ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა „112“-დან მიიღო შეტყობინება საბურთალოზე, ვაზისუბნის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღობის შესახებ. ადგილზე მისულ პოლიციელებს ტაქსის მძღოლმა განუცხადა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი ყაჩაღურად თავს დაესხა, დანის მუქარით ფული მოსთხოვა, 15 ლარი წაართვა და მიიშალა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, თამაზ პ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, კანდელაკის ქუჩაზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179 -ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ქურდობის ფაქტი სხალ კვალზე გახსნა


შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლვე რეზო ქ. და 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლვე თენგიზ ჩ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა ლამით, თბილისში, უზნაძის ქუჩაზე სისპ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის 10 ფილიალის ერთ-ერთ ოთახში ფარულად შეაღწიეს, ცენტრის თანამშრომლების სამსახურული და სხვადასხვა აქსესუარები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალნენ.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რეზო ქ. და თენგიზ ჩ. მომხდარიდან ერთ საათში, თბილისში, გულუას ქუჩაზე დააკავეს. მათი პირადი ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით პარონი აპოილო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელგაჩაურის რაიონული სამმართველოს ჩონიოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული მამუკა ო. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და საქართველოში შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 6,61 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,127 გრ პერონის შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, ბრალდებულს „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის 4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“



**მიუსაფართო თავსესაფარები
თბილისის ხანგრძლივ ქუჩებთან
ახლო განთავსდება**

თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, გულიკო ზუმბაძის განცხადებით, მიუსაფართო თავსესაფარის გახსნასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება: „ჩემი წინადადება იყო, კარგად გავცნობოდი, რა შინაარსობრივი დატვირთვა ექნებოდა თავსესაფარს. ის ადამიანები, რომლებიც მოსკოვის გამზირზე თავსესაფარში იმყოფებიან, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ქუჩაში, თუმცა მაინც მძიმე პირობებში უნდა ცხოვრობდნენ. საკითხი თავდაპირველად ეხებოდა ინფრასტრუქტურის სამინისტროს, თუმცა გადმოეცა თვითმართველობას. ვფიქრობ, თავსესაფარი არ უნდა იყოს მოცილებული თბილისის ცენტრალურ ქუჩებს. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ნორმალურად გადაადგილების საშუალება, რადგან ეს მხოლოდ ღამის თავსესაფარი იქნება. ჰიგიენური და სანიტარული ზომები დაცული იქნება. შენობა 250 ადამიანზეა გათვლილი. ვფიქრობ, თბილისის ათივე რაიონში, ასეთი ტიპის რამდენიმე საცხოვრებელი უნდა გაკეთდეს.“

ზუმბაძის თქმით, პროექტის ბიუჯეტი 2.5 მილიონი ლარია.

„პირველი“



**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო
სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე
მზია ტატიანაშვილი დააკავა**

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ტატიანაშვილი მოტყუებით, თაღლითურად 15 000 აშშ დოლარს დაეუფლა. მას 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება. საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის გიორგი გრძელნიშვილის განცხადებით, გამოძიებით დაადგინდა — მზია ტატიანაშვილი ერთ-ერთ მოქალაქეს დაპირდა, რომ ბრალდებული პირის შეწყალების სანაცვლოდ, სასჯელადსრულების სისტემის და შეწყალების კომისიის მაღალჩინოსნებს 15 000 აშშ დოლარს გადასცემდა, რის შედეგადაც, ბრალდებული სასჯელისაგან გათავისუფლდებოდა. აღნიშნულ თანხას მზია ტატიანაშვილი მოტყუებით, თაღლითურად თავად დაეუფლა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით გრძელდება, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“



**ზურაბ კინდარიშვილი დახარალებულის
სტატუსის მინიჭებას მოითხოვს**

ეროსი კინდარიშვილის ძმამ პროკურატურაში შესაბამისი განცხადება უკვე შეიტანა. კინდარიშვილს სურს, ძმის საქმეში დაზარალებულად ცნონ, რის შემდეგაც მას მასალების გამოთხოვის საშუალება ექნება. ამასთან, როგორც კინდარიშვილების ადვოკატები აცხადებენ, მასალაში ბევრი ახალი დეტალი იკვეთება, რის გამოც მათ საქმის დეტალურად გაცნობა სურს. პროკურატურამ მხარეს პასუხი სამი დღის ვადაში უნდა აცნობოს.

„პირველი“

**პიტორ ღოლიძე:
„არ მესმის,
ისრებს ირაკლი
ალასანიასკენ
რატომ ისპრიან“**



ღრუსუდან შელია
557-100-768

დასავლურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, საქართველოში სირიელი მემბოხეების შესაძლო წვრთნის დაწყების შესახებ, კიდევ ერთი მიზეზი გახდა, რომ საზოგადოებას ირაკლი ალასანიას მორიგ ავანტიურაზე ემსჯელა. ითქვა, რომ საქართველოს თავდაცვის პოლიტიკურად ამბიციური მინისტრი, ამერიკელების მხარდაჭერის მოპოვებით, კოალიციაში პოზიციების გამყარებას ცდილობს, თუმცა ამჯერად თამაში წარმატებით ვერ დაასრულა. გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ალასანიას თანაპარტიული, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **პიტორ ღოლიძე**, რომელიც „ვერსიასთან“ აღნიშნავს, რომ მმართველ გუნდს ერთი ლიდერი — პრემიერი ჰყავს და ნებისმიერი გადაწყვეტილება სწორედ მასთან თანხმდება.

— „ქართული ოცნება“ კოალიციურ რეჟიმში მუშაობს — ნებისმიერი მიმართულებით გუნდი ერთსულოვანია. ყველა საკითხი პრემიერთან თანხმდება, მით უმეტეს, ისეთი მნიშვნელოვანი, რაც სამხედრო პოლიტიკასა და თავდაცვის სფეროში უკავშირდება. რაც შეეხება კონკრეტულად დასავლურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, მსგავსი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიგვიღია, თუმცა საქართველო იყო და არის აშშ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. ერაყსა და ავღანეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებში ვიმონაწილეობთ და უკვე დაგამტკიცეთ, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების კონტრიბუტორები ვართ. თუ კოალიციაში თანამშრომლობას სხვა მიმართულებით გავაღრმავებთ, ეს მხოლოდ ირაკლი ალასანიას კი არა, მთავრობისა და პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილება იქნება. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამ შემთხვევაში ცალკე ვერ იმოქმედებს.

— **სირიელების სანვრითელ ბაზად საქართველოს ტერიტორიის შეთავაზებაზე დასავლური მედია წერდა, რასაც არჩილ გუგუშვიცი ახსენებდა. იმედი, არ იტყვი, რომ დასავლეთშიც მედიას ნაციონალები აკონტროლებენ.**

— ზოგადად, ნებისმიერი მსგავსი თემა ორმხრივი შეთანხმების შედეგია და როგორც წესი, ცალმხრივი სურვილები არაფერს ნიშნავს. ელჩმა განმარტა, რომ განცხადება სხვა კონტექსტში გააკეთა და არ მესმის, ახლა ისრებს ირაკლი ალასანიასკენ რატომ ისვრიან.

— **ანუ ეს ინფორმაცია ირაკლი ალასანიას დისკრედიტაციისთვის გავრცელდა?**

— არ მაქვს საფუძველი ვთქვა, რომ ალასანიას ვინმე ებრძვის. ოპონენტებს არ გუფლისხმობ, რომლებიც უელსის სამიტზე მიღწეული შედეგების გაუფასურებასაც კი ცდილობენ. მათი განცხადებები პასუხის გაცემადაც არ ღირს.

— **რამდენიც უნდა ამტკიცოთ, რომ ალასანიას პოლიტიკური მიზნები კოალიციის დანარჩენ წევრებს არ ანალვლებთ, ამის შესახებ საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის განცხადებების შემდეგ გახდა ცნობილი...**

— ორი წელია ამას ამტკიცებენ, მაგრამ კოალიციიდან არავინ წასულა. 2016 წლამდე ეს ერთიანობა შენარჩუნდება და მის დაშლაზე საუბარიც ზედმეტია. სააკაშვილმა იმდენად მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მისი გამოსწორება და შემდეგ გავრცელება საკმაოდ რთულია. ახლა კინკლაობისთვის არავის სცალია და მერწმუნეთ, არც არავინ კინკლაობს.

— **იქნებ გიორგი მარგველაშვილსა და მთავრობას შორის უთანხმოებაც უარყოფთ, რომელიც პარლამენტის დათხოვნაზე საუბარსაც არ ერიდება. გაეროს სამიტის დასრულებისთანავე დავა ამჯერად იმაზე განახლდა, ვინ გაემგზავრება დავოსში, პრემიერი თუ პრეზიდენტი?**

— პრეზიდენტსა და მის ინსტიტუტს საფრთხედ ვერ აღვიქვამ, ის კოალიციის წევრია, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში გუნდმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. გიორგი მარგველაშვილს წარმატებებს ვუსურვებ. გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივი უნდა გვცეთ ისევე, როგორც მთავრობასა და პარლამენტს. ეს ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა.

— **პრეზიდენტის წინააღმდეგ განსაკუთრებით თქვენი თანაპარტიელები, ალექსანდრე პეტრიაშვილი და თეა წულუკიანი აქტიურობენ. ეს ერთგვარი შურისძიება ხომ არ არის იმის გამო, რომ თავის დროზე საპრეზიდენტო კანდიდატად ირაკლი ალასანიას არ დასახელდა?**

— სასაცილოა. ალექსანდრე პეტრიაშვილმა პირადი აზრი გამოთქვა და ლოგიკურია, რომ გაერო-ს ასამბლეაზე საქართველოდან ორი უმაღლესი რანგის დელეგაცია არ უნდა წასულიყო. მინისტრებიც ადამიანები არიან და შეიძლება ზოგჯერ პირად მოსაზრებებს საჯაროდ აფიქსირებენ, მაგრამ ვიმეორებ, სახელმწიფო ინსტიტუტების პატივისცემის გარეშე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. დარწმუნებული ვარ, ამ გზას არასოდეს გადავუხვევთ და საზოგადოებაც პროცესს საღად აფასებს.

— **საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებას უუნაროდ მიიჩნევს.**

— უუნარო ვინ იყო და ვინ სადამდე მიიყვანა ქვეყანა, კარგად ვნახეთ, შედეგიც სახეზეა — ქართველმა ხალხმა ნაციონალებს განაჩენი არჩევნებზე გამოუტანა.

— **თქვენ გაამართლეთ ამომრჩევლის იმედი?**

— ორ წელში იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე საზოგადოებას დაეპირდით, მაგრამ გაკეთებული საქმეები არ პიარდება, რადგან რეკლამაზე გათვლილი პოლიტიკა არ ავგორჩევია. სოციალური, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

— **გადაჭარბებულ დაპირებებზე იმ ფონზე საუბრობთ, როცა სამინისტროები ბიუჯეტის ათვისებასა და დაწყებული პროექტების გაგრძელებასაც ვერ ახერხებენ?**

— ვიცი, რომ პენსიონერს ჯერ კიდევ არ აქვს საკმარისი პენსია და ის საარსებო მინიმუმამდე ახანვევი. ისე უამრავი ადამიანია სიღარიბის ზღვარს მიღმა, ბევრი პრობლემა გადასაჭრელი, მაგრამ ისიც უნდა დავინახოთ, კახეთში გლეხი ყურძენს როგორ ყიდის. ბევრი დღემდე მეკითხება, რატომ ინარჩუნებენ ნაციონალები სამსახურებს — თანამდებობებიდან არავინ გაგვითავისუფლებია იმის გამო, რომ ისინი ნაციონალების მუშაობდნენ. საერთაშორისო დონეზე რთულია დადგენა, სამართლიანობის აღდგენა იმას ნიშნავს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია თუ უფრო სამართლიანია წინ წავიდეთ, წარსულს თავი დავეანებოთ და სააკაშვილი, უგულავა და მერაბიშვილი არ დავიჭიროთ. პირადად მე და არცერთ პოლიტიკოსს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაუსჯელები დავრჩებით და ყველაფრის უფლება გვაქვს.

— **პროკურატურისთვის საქმეების გამოძიებაც პრობლემა გახდა და ხშირ შემთხვევაში უწყება მხოლოდ იმას ახერხებს, ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეები დასავლეთში პოლიტიკურ დევნად შეფასდეს.**

— გგონიათ, ათასობით გაუსხნელი საქმის ბოლომდე მიყვანა ადვილია? გეთანხმებით, გახმაურებულ საქმეებზე გამოძიება ბოლომდე უნდა მივიდეს, პროკურატურას მეც ამისკენ მოვუწოდებ. თუმცა პროკურატურამ საზოგადოების კითხვებს პასუხი უკვე გასცა, ახლა ჯერი სასამართლოზეა. საბედნიეროდ, დღეს პარლამენტიდან არავინ ურეკავს მოსამართლეს, მისთვის სასურველი განაჩენი გამოიტანოს. ცოტა ხნის წინ ამას ადგიშვილი წყევდა და მოკლე მესსეჯებზე გუგუშვილს ხალხის თავისუფლად სუნთქვაც იმეხლა მიღწევა, რომ... მთავარი არაა, მაგრამ სოციალურ სფეროში ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ფინანსები ჩავდეთ, რაც ნაციონალებს წლების განმავლობაში არ გაუკეთებიათ. ისინი მხოლოდ კერძო კომპანიებს აფინანსებდნენ, საიდანაც მოგვიანებით, კოლოსალური თანხები იკარგებოდა. ჩვენც შეგვიძლია მათ მსგავსად, თუნდაც მოსამართლეს დავურეკოთ და საკითხი რამდენიმე წუთში გადაწყვიტოთ, მაგრამ ეს ეპოქა ქვეყანაში დასრულდა. მიჩვენია პროცესი დროში გაინელოს და კანონს არ გადავაბიჯოთ, ვიდრე იმ სისტემით მუშაობა განვაგრძოთ, როგორც ავტოკრატმა სააკაშვილმა შექმნა.

— **ფიქრობთ, ამ ტემპით მუშაობის შემთხვევაში მომავალ არჩევნებში მოსახლეობის უმრავლესობის ნდობას ისევ დაიმსახურებთ?**

— იმედი მაქვს, მომავალ არჩევნებშიც გავიმარჯვებ, მაგრამ ეს მხოლოდ საზოგადოების გადასაწყვეტია. ქართველმა ხალხმა უკვე გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი, როცა პოლიტიკურ იარაღად საარჩევნო ბიულეტენი გამოიყენა და ასე შეძლო პოლიტიკური სიმპათიის გამოხატვა. ამის შესაძლებლობა სააკაშვილის დროს არ არსებობდა, დღეს კი, მთელი მსოფლიო საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე საუბრობს.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხები ისევ არამიზნობრივად იხარჯება



გიორგი მარგველაშვილი
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი 30 სექტემბერს, მთავრობის სხდომის შემდეგ, სტიქიის ზონაში, აჭარასა და გურიაში ჩავიდა და შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამ ეტაპზე ვითარება კონტროლს ექვემდებარება და გართულებები მოსალოდნელი არ არის. როგორც ლარიბაშვილმა აღნიშნა, სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს მოსახლეობას სახელმწიფო აუნაზღაურებს და ამისთვის 40 000 000 ლარია გათვალისწინებული: „ჩემი დავალებით შექმნილია საგანგებო შტაბი, მობილიზებულია ყველა სამინისტროს თანამშრომელი, სტიქიის ზონაში იმყოფებიან მინისტრები და მათი მოადგილეები, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია მაქსიმალურად მოკლე ვადაში შევძლოთ. ამ ეტაპზე, ანტიკრიზისული ღონისძიებების გასატარებლად, ადგილზე მობილიზებულია 774 ერთეული მძიმე ტექნიკა, 22 ერთეული წყლის საქაჩი ტუმბო, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 000-მდე თანამშრომელი და სასწრაფო დახმარების 94 ეკიპაჟი, რათა თითოეულ გამოძახებაზე მოხდეს მაქსიმალურად დროული რეაგირება“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის დავალებით შექმნილი საგანგებო შტაბი სტიქიის ზონაში მუშაობას 24-საათიან რეჟიმში განაგრძობს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებით, ამ ეტაპზე, მეტეო-ხაიშის გზაზე, კლდეზვავის ჩამონოლის შედეგად დაზიანებული მონაკვეთი უკვე აღდგენილია. გურიაში და იმერეთში, უწყვეტი ნალექის პირობებში, ეზოებიდან წყლის ამოტუმბვითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩოხატაურის ხუთ სოფელში, ფოთსა და ქალაქ ლანჩხუთის ნაწილში ელექტროენერჯის მიწოდება უკვე აღდგა. ვანის ორ სოფელში დაზიანებული ტრანსფორმატორების შესაკეთებლად კი სპეციალური ბრიგადები მუშაობს. ბათუმი-ახალციხის გზის მონაკვეთი ჩამონოლილი მენყერული მასივან ინმდებდა.

კანონით, წლებია, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები არსებობს. ორივე ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და უპირველეს ყოვლისა, ეს თანხა სწორედ ფორსმაჟორულ სიტუაციას, სტიქიურ უბედურებასა და ქვეყანაში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას უნდა მოხმარდეს. არც შევარდნადის და არც სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში, მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები მიზნობრივად არ იხარჯებოდა. საინტერესოა, რა შეიცვალა ამ მხრივ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ან შეიცვალა თუ არა რამე, საერთოდ. როგორ აპირებს პრემიერ-მინისტრი მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემას მას შემდეგ, რაც სპეციალური კომისია წელს აჭარასა და გურიაში სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებულ ზარალს დაითვლის? ამ მიზნებისთვის მთავრობამ სარეზერვო ფონდები უნდა გამოიყენოს.

საქართველოში მთავრობის სარეზერვო ფონდი პირველად, 2005 წელს შეიქმნა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს კი არსებობის გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ფონდების მსგავსი, არაერთი ფონდი არსებობდა ქართულ პრაქტიკაში, მაგალითად, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების ფონდები და აჭარის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდი. სამსახურად, მათში მობილიზებული თანხების ხარჯვის კანონიერება თუ მიზანშეწონილობა, წლების განმავლობაში, ეჭვქვეშ იდგა. ამჟამად პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები „საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ კანონისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად არსებობს: „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს

აუნაზღაურებს თუ არა გიორგი მარგველაშვილი აჭარისა და გურიის მოსახლეობას სტიქიით მიყენებულ ზარალს

მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს“ — განმარტავს კანონი ფონდების შექმნის მიზნობრიობას.

ამავე კანონის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორებიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯებისთვისაც. ერთი შეხედვით, სარეზერვო ფონდების დანიშნულება ნათელია, მაგრამ ამ ფონდებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს შორის, უმთავრესი, სწორედ მათი დანიშნულების კანონით განსაზღვრული დეფინიციაა.

წინა წლების სამსახურო გამოცდილებით, „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევისა“ და „სხვა, გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯის“ ცნებები იმდენად ზოგადია, რომ მათში ყველა სფერო და კატეგორია შეიძლება მოექცეს. მაგალითად, 2006 წლის განმავლობაში, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ფინანსდებოდა ღირსების ორდენით დაჯილდოებული პრემიები. მეტიც, სახელმწიფო რწმუნებულებისათვის ავტომანქანებიც სწორედ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებში მობილიზებული თანხებით შეიძინეს, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ მოსახლეობისათვის პრაქტიკული რჩევების სახელმძღვანელოების დაბეჭდვაც სარეზერვო ფონდებიდან დააფინანსეს. ქვეყნის მასშტაბით, საცურაო აუზებიც კი სარეზერვო ფონდებში არსებული თანხებით ააშენეს, მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებისთვისაც სარეზერვო ფონდებს იყენებდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შუუფერხებელი ფუნქციონირებისთვისაც, საიდუმლო ღონისძიებებისთვისაც და საერთოდ, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, რუსლანასა და შაკირას კონცერტებიც კი სარეზერვო ფონდებიდან დააფინანსეს.

„საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, სარეზერვო ფონდების მოქმედების სამართლებრივი რეჟიმი ასეთია: პრეზიდენტი და მთავრობა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე, სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯები, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, დაწესებულებებისათვის გამოყოფენ თანხებს შესაბამისი სარეზერვო ფონდიდან.

2014 წლის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 000 000 ლარს შეადგენს. ცხადია, ეს ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალი ანაზღაუროს. მითუმეტეს, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ მხოლოდ გურიაში, სტიქიის ზარალის ლიკვიდაციას 6 მილიონი ლარი სჭირდება, რომლის გამოყოფაც, მთავრობამ მის უწყებას უკვე დაავალა. მაგრამ არსებობს მთავრობის სარეზერვო ფონდიც, რომელიც 50 000 000 ლარზე მეტია. უკვე ცნობილია, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, მთავრობის სარეზერვო ფონდის დაფინანსება გაიზარდა და 70 000 000 ლარით განისაზღვრა. „ვერსიამ“ გაარ-

კვია, რომ გასული ორი წლის განმავლობაში, საქართველოში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალი, ძირითადად, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდებოდა. ამ მიზნისთვის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ჯერ არ გამოიყენებიათ.

ამ ეტაპზე უცნობია, აჭარაში, გურიაში და იმერეთში წყალდიდობის, შტორმისა და მენყერის გამო მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ისევ მთავრობის სარეზერვო ფონდს გამოიყენებენ, თუ პრეზიდენტის ფონდიდანაც გაიღებენ გარკვეულ თანხას. ამ მიზნით რომ თანხა ამ ფონდიდან გამოიყოს, მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის განკარგულებაა საჭირო. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვას კი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი განკარგულება სჭირდება.

გაურკვეველია, აჭარისა და გურიის მოსახლეობა კომპენსაციას რომელი ფონდიდან მიიღებს. ამ ფონზე, თანხების არმიღების შემთხვევაში, მოსახლეობას ვერ ვურჩევთ, ირაკლი ლარიბაშვილს მოსთხოვს პასუხი, თუ გიორგი მარგველაშვილს. როგორც ირკვევა, წლების წინ შექმნილი სამსახურო რეალობა დღესაც გრძელდება და მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილი-ლარიბაშვილი დღეს თავისი ფონდებიდან საყოველთაო ტაშ-ფანდურს აღარ აფინანსებენ, ვითარება არ იცვლება — სარეზერვო ფონდებიდან თანხა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად იხარჯება, რასაც საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი ჩათვლის საჭიროდ. „ვერსიას“ ექსპერტი, **ლევან ალაფიშვილი** ესაუბრება:

— კანონით, როგორც პრეზიდენტის, ასევე მთავრობის სარეზერვო ფონდი, ბიუჯეტით გათვალისწინებული საჭირო ხარჯებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად შექმნილი. თითოეული სუბიექტი, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, კონკრეტული მოცემულობისა და საჭიროების კვალობაზე იღებს გადაწყვეტილებას. იმის გათვალისწინებით, რომ ახალ კონსტიტუციურ მოდელში ძირითადი, ყოველდღიური მმართველობა მთავრობის კომპეტენციაშია, ლოგიკურია, რომ უფრო მეტი ხარჯი მთავრობის სარეზერვო ფონდზე მოიღოს. სარეზერვო ფონდებს განსაკუთრებული შემთხვევებისთვის უნდა იყენებდნენ. ამის საპირისპიროდ, თუკი განკარგულებებს გადახედავთ, მათ შორის, მიმდინარე წლის მ თვის ხარჯვის მონაცემებიც რომ ნახოთ, როგორც მთავრობის, ასევე პრეზიდენტის ფონდიდან ისეთი ღონისძიებებია დაფინანსებული, რომლებიც თავისი დანიშნულებით, ნაკლებად საგანგებო ან განსაკუთრებულია. ჯამში, ამ ფონდების მართვა საზოგადოების წუხილის საგანია. მუდმივად იყო საუბარი, რომ სარეზერვო ფონდებს არაფეროვნად იყენებდნენ. არადა, კანონის დარღვევაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ხარჯვის წესს განსაზღვრავს! ფორმალურად, შესაძლოა, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უფრო მეტი იხარჯება, მაგრამ სარეზერვო ფონდები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ბიუჯეტი კი სახელმწიფოსია, შესაბამისად, ეს ფონდებიც სახელმწიფოს საკუთრებაა. რეალურად, სარეზერვო ფონდებში სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული თანხებია მობილიზებული და რომ არა კინკლაობა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, შესაძლოა, ეს თანხები უფრო ნორმალურად დახარჯულიყო. მთავრობისა და პრეზიდენტს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რათა განსაკუთრებულ შემთხვევებში, სარეზერვო ფონდებიდან თანხები მიზნობრივად და საჭიროებისამებრ დაიხარჯოს.

— სახელმწიფო ბიუჯეტის 8 თვის მონაცემების მიხედვით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან რა ტიპის ღონისძიებები დაფინანსდა?

— სხვადასხვა ტიპის საზეიმო ღონისძიებებია დაფინანსებული, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ამით კანონი არ დარღვეულა, რადგან ამ ფონდების ხარჯვის წესი არ არსებობს! აუცილებელია, ეს საკითხი სისტემურად მონესრიდეს.

პერსონალი

ალექსანდრე ჭიკაიძემ საქართველო-სომხეთის სასაზღვრო სექტორი გახსნა



პოლიციას საქართველო-რუსეთის ფედერაციის, საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე ახალი სექტორების მშენებლობისთვის დამატებითი სახსრები გამოუყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სფეროში მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესება. 2014 წლის თებერვლიდან მესაზღვრეებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ. გასულ კვირას შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზღვრო პოლიციის მესამე სამმართველოს მეთხვე სექტორი „ახკერპიც“ გახსნა. საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 3 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე — 2, საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე — 4, საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე კი აშენებულია 1 სასაზღვრო სექტორი. 2014 წლის ბოლოსთვის კიდევ 6 ახალი სასაზღვრო სექტორის მშენებლობის დაინიშნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესამე სამმართველო „ნითელი ხიდის“ მე-5 სექტორ „ბურდაზორის“ შენობა გახსნა.

საზეიმო ცერემონიას სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი, უწყების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. აღნიშნული სექტორი საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს.

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესამე სამმართველო „ნითელი ხიდის“ მე-5 სექტორ „ბურდაზორის“ შენობა გახსნა.

საზეიმო ცერემონიას სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი, უწყების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. აღნიშნული სექტორი საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს.

2014 წლის ბოლოსთვის კიდევ 6 ახალი სასაზღვრო სექტორის მშენებლობის დაინიშნა.

„ვერსიანიუსი“

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ადგილობრივ ავიაკომპანიებს ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღება დროებით შეუჩერა. ამის მიზეზი საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი 11 ავიაკომპანიის რესერტიფიკირების პროცედურაა, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. გადაწყვეტილება ექსპერტებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ საქართველოს მთავრობა იმ უცხოური ავიაკომპანიების შემოსვლას შეაფერხებს, რომლებსაც ქართულ ავიაბაზარზე დამკვიდრებისა და ინვესტირების სურვილი აქვთ. ექსპერტების შეფასებას სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ ქართულ ავიაკომპანიებს ეხება.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ოფიციალური განცხადებით: „ერთიანი საჰაერო ცის შეთანხმების შესაბამისად, რომელიც სამოქალაქო ავიაციის დარგში, ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, საქართველოს საავიაციო კანონმდებლობაში მიმდინარეობს მთელი რიგი ცვლილებები ევროპული სტანდარტებისა და სხვადასხვა დირექტივების დანერგვის, ასევე ფრენის უსაფრთხოების სტანდარტებისა და თანამედროვე საერთაშორისო თუ ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საქართველოს საავიაციო კანონმდებლობაში უკვე განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, განახლებული საავიაციო უსაფრთხოების სტანდარტებთან სრულად შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით (დადგენილი პრაქტიკისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია „იკაოს“ შესაბამისი დოკუმენტების მოთხოვნების საფუძველზე და „იკაოს“ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით), აუცილებელი გახდა ქართული ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელი 11 ავიაკომპანიის რესერტიფიკირება, რაც უზრუნველყოფს ბევრად უსაფრთხო ფრენას, დაცულ გარემოს, ასევე ხელს შეუწყობს მგ ზავრთა უფლებების დაცვასა და დარგის თანმიმდევრულ განვითარებას. ამ მიზნით, არსებული ადგილობრივი ექსპლუატანტების რესერტიფიკირების დასრულებამდე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ დროებით შეაჩერა ახლადდაფუძნებული ქართული ავიაკომპანიებისგან ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღებისთვის განაცხადების მიღება. მოქმედი ქართული ავიაკომპანიების რესერტიფიკირების პროცესის დასრულებისთანავე, რომელიც მიმდინარეობს დადგენილი ვადების თანახმად და რომელიც ჩართულია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებში, სააგენტო სრულად აღადგენს ახალი განაცხადების მიღების პროცესს, რაც შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს

საქართველოს ავიაბაზარს ორი უცხოური ავიაკომპანია შეემატა



ნაცომ შეუჩერა ავიაკომპანიებს სერტიფიკატის მიღება სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ და რომელი ქართული ავიაკომპანია არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს

არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოს მიმართულებით განსახორციელებელი ფრენების ნებართვების მიღებასთან, როგორც უცხოური, ასევე ქართული ავიაკომპანიების მიერ, ვინაიდან საერთაშორისო მიმოსვლა რეგულირდება ორმხრივი და მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით. კონკრეტულად, რა ვახდა ამგვარი ცვლილების მიზეზი? რატომ შეუჩერა ადგილობრივ ქართულ ავიაკომპანიებს ექსპლუატანტის სერტიფიკირება სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ? შეაფერხებს თუ არა ეს ცვლილება უცხოური ავიაკომპანიების შემოსვლას საქართველოს ავიაბაზარზე? „ვერსის“ კითხვებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი. **ბურაბ ჯალაღონია** პასუხობს.

— მას შემდეგ, რაც სერტიფიკირების შესახებ 142-ე ბრძანებაში ცვლილება განეხორციელა, საქართველოს ავიაბაზარზე ორი უცხოური ავიაკომპანია შემოვიდა. არაბული „ეარ არაბია“, 28 ოქტომბრიდან განახორციელებს რეგულარულ რეისებს თბილისი-შარჟას მიმართულებით, ხოლო უნგრული ავიაკომპანია „ვიზაირმა“, ქუთაისი-ბუდაპეშტის მიმართულებით, პირველი რეისი უკვე 30 სექტემბრიდან დაიწყო. ეს იმის მტკიცებულებაა, რომ არავითარი შეზღუდვა უცხოურ ავიაკომპანიებს არ აქვთ. ნებისმიერი უცხოურ ავიაკომპანია, რომელიც მოგვმართავს თხოვნით, ფრენის უფლებას მიეცემა, რადგან უცხოურ ავიაკომპანიებთან ეს ყველაფერი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე რეგულირდება.

— ანუ ეს ცვლილება მხოლოდ ადგილობრივი ავიაკომპანიებისთვის განახორციელდა?

— სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარემ გამოსცა №132 ბრძანება, რომლითაც №142 ბრძანებაში ცვლილებები

შევა და სერტიფიკირების წესებს განსაზღვრავს. ადგილობრივ ავიაკომპანიებს ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღება დროებით შეუჩერეთ, ვინაიდან „იკაოს“ რეკომენდაციებით, საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი 11 ავიაკომპანიის რესერტიფიკირება სჭირდება. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს — 11 ავიაკომპანიის დოკუმენტაცია უნდა შევისწავლოთ. როგორც კი ავიაკომპანიების რესერტიფიკირება განხორციელდება და 11-ვე ავიაკომპანია შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო სტანდარტებთან, ეს პროცესი ჩვეულებრივ გაგრძელდება.

— ამ ეტაპზე, რომელიმე ახალმა ქართულმა ავიაკომპანიამ რომ მოგმართოთ, ლიცენზიას ვერ მიიღებს?

— ჯერჯერობით, არავის მოუმართავს. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქართულ ავიაკომპანიას, რომელმაც მოგმართა და უარით გავისტუმრეთ.

— ასეთი ცვლილება დღის წესრიგში იმით დადგა, რომ ქართული ავიაკომპანიები საერთაშორისო სტანდარტებს არღვევენ?

— სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ორ ქართულ ავიაკომპანიას — „ეარ კავკასუსსა“ და „ეი ჯი აი“-ს, ასევე ნატახტარის საავიაციო სკოლას ლიცენზია უკვე შეუჩერა. ასეთი გადაწყვეტილება იმით მივიღეთ, რომ კანონით განვირღობოთ მოთხოვნებსა და სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდნენ. „ეარ კავკასუსს“, „ეი ჯი აი“-სა და ნატახტარის საავიაციო სკოლას გარკვეული დარღვევები ჰქონდათ, მაგრამ ვიდრე ლიცენზიას შეუჩერებდით, დაფარავდით. ამის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველოში მოქმედი 11-ვე ავიაკომპანიის რესერტიფიკირება დაგვეწყოს და ეს ცვლილება ამიტომ განეხორციელა. ამ 11 ავიაკომპანიიდან, 5 საერთაშორისო, ხოლო 6 ადგილობრივია.

ნიკოლოზ ვაშაკიძე: „პოლიტიკურ თაბაშახში საქართველო ყველას გადაავიწყდა“

რუსუდან შელია
557-100-768

ცივილიზებული მსოფლიო კიდევ ერთი მასშტაბური პრობლემის წინაშე დგას — ისლამური სამყარო, ტერორიზმი და რუსეთი, რომელიც ეკონომიკური სანქციებისა და გაფრთხილების მიუხედავად, აღმოსავლეთ ევროპაში პოზიციების დათმობას არ აპირებს. საგარეო პოლიტიკურ პროცესებს „ვერსიასთან“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე აფასებს.

ვინ შესთავაზა ამერიკას საქართველოში სირიელი ამბოხებულების განვრთვა, შექმნის თუ არა ნაციონალებთან აღიარება ირაკი აღსანი და რას მოუფანს ქვეყანას ამერიკაში ირაკი ღარიბაშვილის ვიზიტი



— ამერიკაში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი შეაფასეთ — ნარმდებით იმუშავა საქართველოს დელეგაცია?

— გაერო-ს გენერალური ასამბლეა კალენდარული მრავალმხრივი ღონისძიება და არა ორმხრივი ვიზიტი. ამ ფონზე, ვიზიტის მსვლელობისას რამე განსაკუთრებული არ შემინიშნავს.

— ვიზიტს უსწრებდა პრეზიდენტისა და პრემიერის ღია დაპირისპირება და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული წერილი საქართველოს მთავრობის მიმართ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, დასავლეთმა ეს საკითხები ქართულ დელეგაციას კიდევ ერთხელ შეახსენა?

— ვიზიტის წინ მომხდარი დაპირისპირება მმართველ პოლიტიკურ გუნდში კრიზისზე, პოლიტიკური მონიფულობისა და კულტურის დეფიციტზე მეტყველებს. ზოგადად, ამ ინციდენტს მკვეთრად გამოხატული ინფანტილიზმის ნიშნები ახასიათებს. ასეთ სასაცილო და სამარცხვინო საკითხზე პარტნიორები საქართველოს დელეგაციასთან არ ისაუბრებდნენ.

— დასავლურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა საქართველოში სირიელი ამბოხებულების წვრთნა დაიწყოს, საქართველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგეშიძემ ჯერ დადასტურა, შემდეგ უარყო. შესაძლებელია საქართველო-ამერიკის შორის მსგავსი მოლაპარაკება დაწყებულიყო და რა საფრთხეს შეიცავს ფაქტი, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტისას ელჩსა და მთავრობას შორის კომუნიკაცია არ არსებობს?

— ბუნებრივია, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მხოლოდ ლოგიკურ დასკვნებს ვაკეთებ. ინფორმაცია პირველად დასავ-

ლურში კი არა, ქართულ მედიაში გაჩნდა. ის, დიდი ალბათობით, თავდაცვის მინისტრს ეკუთვნის. ალასანია რამდენიმე წელია გულმოდგინედაა დაკავებული საკუთარი პოლიტიკური კარიერის აღმშენებლობით. ალბათ, ჩათვალა, რომ ეს ინიციატივა განამტკიცებს მის პოზიციებს ამერიკელ პარტნიორებთან და, შესაბამისად, საქართველოს მთავრობაშიც. სამწუხაროდ, პოლიტიკურ ბრძოლაში გართული მინისტრი ვერ ჩანვდა, ქვეყნისთვის რა სახიფათო თემას წაეთამაშა. სამაგიეროდ, ჩანვდნენ ნაციონალური მოძრაობის მესვეურები, რომლებმაც, ვვარაუდობ, კულუარულად მიიღეს ინფორმაცია და თემა ააგორეს. წლების განმავლობაში გამომუშავებულმა პოლიტიკურმა ინსტრუქტმა მაშინვე უკარნახა, რომ ამით შეუძლიათ, შეუწყონ ხელი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმდინარე ზოგად დისკრედიტაციას და ასევე, გააღრმავონ კონფლიქტი ალასანიასა და ხელისუფლების ბირთვს შორის. მათი ანგარიშით, ამან შეიძლება დაჩქაროს ალასანიასა და მისი გუნდის გამოდგენა ხელისუფლებიდან და ოპოზიციაში გადასვლა. ამის შემდეგ ნაციონალები შეეცდებიან, მასთან ალიანსი შეკრან, რაც პაერივით სჭირდებათ. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკურ თამაშებში ყველას გადაავიწყდა საქართველოც და მისი ინტერესებიც. უნდა ვაღიაროთ, თავად ეს ინიციატივაც და მის გარემო ატეხილი სკანდალიც ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. მომხდარი ნათელი ილუსტრაციაა, რამხელა ზიანს აყენებს ქვეყანას ხელისუფლებისა და მთლიანად პოლიტიკური ინსტრუქტის ზნე და მდგომარეობა — სამწუხაროდ, დღეს, ქართულ პოლიტიკაში, საკუთრივ პოლიტიკა, თითქმის აღარ დარჩა და ის 99%-ით პოლიტიკანობისგან შედგება. ეს კი, მსოფლიოსა და რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების ფონზე, სამშია ჩვენი სახელმწიფოსთვის.

— პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე, სისხლის სამართლებრივი დანაშაული აღარ იქნება და პირველ ჯერზე მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართლებრივ დარღვევას განეკუთვნება. პაატა ზაქარაიშვილი ამტკიცებს, რომ ეს ევროკავშირის მოთხოვნაა. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?

— მსგავსი მოთხოვნა ევროკავშირს არ აქვს. როცა ზაქარაიშვილი ამას აცხადებს, კონკრეტულ დოკუმენტზე მიუთითოს. ეს ხელისუფლების მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე მიყენებული მძიმე დარტყმაა.

— თუნდაც ამ ცვლილების გამო, საპარლამენტო ოპოზიცია ამტკიცებს, რომ რუსული გავლენა ქვეყანაში იზრდება. ეთანხმებით ამ აზრს?

— მექმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ახლა საქართველოს მიგნით აქტიურ და, ძირითადად, ფარულ მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს. ამას, სამწუხაროდ, ხელს უწყობს როგორც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ახალი პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ასევე წინა ხელისუფლების მიერ დაწესებული ცალმხრივი უვიზო რეჟიმი. დაუშვებელი იყო ასევე რუსული, პრაქტიკულად, სახელმწიფო კაპიტალის შემოშვება საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში. ღმერთმა უწყის, რა ჯურის ხალხი ჩამოდის ქვეყანაში რუსეთიდან „უწყინარი ტურისტების“ სახით და რას საქმიანობენ. თუ ზომები დროზე არ მივიღებთ, ეს სამუშაოები, მომავალში, აქტიურ ქმედებებში გადაიზრდება.



გაგუკა კასიბაძე: „ყურადღების მისაპრობად, შიშველი სირბილს ვერ დავიწყებ!“

რას აპირებენ ახალი მემარჯვენეები და რაფომ არ აქვს აზრი ვადამდედი საპარლამენტო არჩევნების ჩაფარებას

ენიო კომანიძე
599-95-33-16

ვინ არის დღეს ოპოზიცია? დიდი ხანია, ამ კითხვაზე პასუხს საზოგადოების ის ნაწილი ვერ იღებს, ვისაც ნაციონალურ ხილვა ოპონენტის როლში კიდევ უფრო აღიზიანებს. ქვეყანაში არც ახალი პოლიტიკური ძალა ჩანს და არც მისი შექმნის რესურსი. შესაბამისად, განხილული ამომრჩეველი იმედს კვლავ არსებულ არასაპარლამენტო ოპოზიციაზე ამყარებს, რომელმაც ვერც ერთ ვადამდედი მომენტში გაერთიანება ვერ მოახერხა. „ვერსიის“ რესპონდენტი ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციბაძეა, რომელიც ხელიდან გაშვებულ და სამომავლო შანსებს აფასებს.

— არჩევნებზე რაც მოხდა, პირველ რიგში, ჩვენი ბრალია, თუმცა ხელისუფლების დამსახურებაცაა, რადგან ამომრჩეველთა რაოდენობა არნახულად დაბალი, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა კი რეკორდულად მაღალი იყო. „ახლებმა“ არსებობის ისტორიაში, კვალფიციური სუბიექტის სტატუსი პირველად დაკარგეთ. ბარიერის გადალახვამდე სულ 0,7% დაგვაკლდა. მესამე მიზეზი თავად ამომრჩეველია, რომელმაც ჩათვალა, რომ აქტიურ პოლიტიკაში ჩვენ და რამდენიმე პარტია ზედმეტები ვიყავით.

— ამიტომ პასიურობა 3 თვეა?

— ყველა არჩევნებს გარკვეული ტიპაჟი მოყვება, მით უმეტეს, როცა შედეგი წარუმატებლობაა. პარტიას სჭირდება დრო მომავალი პოლიტიკური ცხოვრების დასაგეგმად, შედეგების გასაანალიზებლად. ეს პერიოდი უკვე გავიარეთ და ახლა გავაქტიურდებით. ჩვენთვის საინტერესო საკითხია, მაგალითად, საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები, ქვეყნის უსაფრთხოება და „ოცნების“ საგარეო პოლიტიკა.

— საგარეო კურსზე როგორ ლაპარაკობთ, როცა მერობის კანდიდატად კახა კუკავა დაასახელეთ?

— ეს შეცდომა არ იყო და კვლავაც ვაპირებთ თანამშრომლობას. ჯერ ერთი, ობიექტური მოცემულობა ასეთი იყო; მეორეც, დიდი გაერთიანება იგეგმებოდა და ჩაიშალა. ქრისტინა-დემოკრატიზმა, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ხარაკირი ჩაიტარეს. ამ პარტიამ თქვა, სახლში წავიდეთ, მისი სახელით გამოვივა ნინო ბურჯანაძე და მიიღო ერთი ადგილი ცესკო-ში, რამაც ამ გაერთიანების ბედი გადაწინა. ჩვენც ოპტიმალური გადაწყვეტილება მივიღეთ, თანაც ეს ადგილობრივ არჩევნებზე მოხდა, სადაც საუბარი ნატო-სა და ევროკავშირზე კი არა, ბუჩქებზე, შადრევნებსა და ადგილობრივ პრობლემებზეა. საგარეო კურსი არ შეგვიცვლია და არ მომწონს, ხელისუფლება რუსეთს ენას ზედმეტად რომ უჩლექს, უკრაინაში მიმდინარე ომს კი ზედმეტად ფრთხილად ეკიდება — 3-თვიანი ფიქრი არ სჭირდება უკრაინელი ბავშვების აქ ჩამოყვანას. არც თვითმფრინავით კიევში მედიკამენტების ჩატანას ჩირდება 2 თვე.

— კიდევ რა კონკრეტული თემებით აპირებთ გააქტიურებას?

— საშინაო პოლიტიკა და ქვეყნის მართვის ის მახინჯი პრინციპი, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს. ბიძინა ივანიშვილმა დააკომპლექტა ხელისუფლების ყველა შტო და ახლა თითქოს დისტანცირებულია ქვეყნის მართვისგან. არადა, ყოველი მისი გამოჩენა საპირისპიროს ამტკიცებს. ასეთი არაფორმალური მმართველობა მაფიოზურ სახელმწიფოებს ახასიათებს. ვინც არ მეთანხმება, მასთან სასაუბრო არაფერი მაქვს. ეს იმდენჯერ უნდა ითქვას, ვიდრე საპირისპირო აზრზე თუნდაც ერთი ადამიანი დარჩება. ივანიშვილი ან ფორმალურად უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში და პასუხისმგებლობაც აიღოს, ან რეალური დისტანცირება მოახდინოს ხელისუფლებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა პრობლემები დაგროვდება, ივანიშვილი თავის მთავრობას ეტყვის, ეს ყველაფერი თქვენ ჩაიდინეთ, მე რა შუაში ვარო და გვერდავ ყველაზე მძიმე მომენტში გადავება, ჩვენ კი უუნარო მთავრობა და პარლამენტი შეგვრჩება ხელში. მოგვწონს თუ არა, ოდიოზურს დავარქმევთ თუ ამორალურს, დღეს ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა. დანარჩენ რამდენიმე პარტიას, რომლებმაც ბარიერი დაძლია და თვითმმართველობის ორგანოებში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია, უბრალოდ, ოპოზიციის სტატუსი აქვთ.

— თქვენ რა სტატუსი გაქვთ და რა აზრი აქვს ისეთი არასაპარლამენტო ოპოზიციის არსებობას, რომელთა აქტივობის ჯამი ნულს უდრის?

— არის პერიოდი, როცა კონკრეტული პარტიები დაბალ-რეიტინგულნი, უუნარონი არიან და პროცესებზე გავლენას ვერ ახდენენ, თუმცა ისეთი დროც დგება, როცა ეს პარტიები ცოცხლდებიან და სერიოზულ პოსტებსაც იკავებენ. ასე მოხდა „ოცნებაში“ შემავალი ჩვენი კოლეგების შემთხვევაში. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. ის, რომ გამგებლები და მერები 50%-იანი ბარიერით აირჩა, ხოლო ადგილობრივ არჩევნებზე 23 მეორე ტური გაიმართა, იმ მრგვალი მაგიდების დამსახურებაა, სადაც მთავარ როლს სწორედ დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიცია ასრულებდა. მალე ნახავთ, რა შეუძლია ამ „უუნარო ოპოზიციას“ საკონსტიტუციო კომისიასა და საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებითაც.

— რამდენიმე პარტიამ გააფლერა, ოპოზიცია გაერთიანებას ისევ გეგმავსო — თქვენ ხართ ამ გეგმის ნაწილი?

— ჯერჯერობით, მოლაპარაკებები არავისთან დაგვიწყია. საქართველოში იმას მივეჩვიეთ, რომ გამოსატყის ეფექტური ფორმაა, როცა გადაკეტავ რუსთაველს, კარავს დადგამ და იმიშვილებ. ესეც ცოტა მახინჯი შეხედულებაა პროცესებზე. ეს ხომ ერთადერთი ფორმა არ არის? ყურადღების მისაპრობად, შიშველი სირბილს ვერ დავიწყებ. რაც შეეხება გაერთიანებას, კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით ვითანამშრომლებთ ყველასთან, მინუსის გარეშე. თუმცა საარჩევნო ბლოკს ყველა პარტიასთან არ შევქმნი. არსებული ვითარებაც უნდა გავითვალისწინოთ — დღეს ხალხი არ გუფუნებს, პოლიტიკური პროცესი არ დულს და საპროტესტო მუხტი მაღალი არაა. ქვეყანაში დომინანტი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა და ხალხს ეშინია, ეს ძალა ხელისუფლებაში არ მობრუნდეს. ორბიტაზე არც სხვა ძალა ჩანს.

— ამ ფონზე, არც ნაციონალებს და არც „ოცნებას“ არც თქვენი გააქტიურება აწყობს და არც ახალი ძალის გამოჩენა. რისი გაკეთება შეგიძლიათ?

— ერთ მშვენიერ დღეს, ნაციონალებს მოუწდებათ ხელისუფლებაში დაბრუნება. ფაქტია, ეს ძალა ამ ბრძოლაში ისე ვერ გადავა, ვიდრე არ დალაგდება. თუ დალაგდებიან, როგორ და რა დანაკარგით, დიდი მნიშვნელობა ექნება. კიდევ უფრო დიდი გაუგებრობაა „ოცნებაში“ — ადრე ვთქვი, 2014 წლის ბოლომდე „ოცნება“ დაიშლება-მეთქი და ამის ნიშნები უკვე ჩანს.

— მერე თქვენთვის ამით რა შეიცვლება?

— ჩვენმა პარტიამ ვითარებას პრაგმატულად უნდა შეხედოს და იფიქროს, შესაძლებელია თუ არა რომელიმე მათგანთან ახლო კომუნიკაციის დამყარება. მათ შორის, ყოფილ „ოცნებელებთან“ ან თუნდაც ნაციონალებიდან განდევნილ ძალებთან, თუ დარჩენილ შედარებით „ნორმალურ“ ფრთასთან. ამასობაში, საინტერესოა, რა მოხდება ქალბატონი ბურჯანაძის კარზე, რას იზამენ ლეიბორისტები, „საქართველოს გზა“, კახა კუკავა, პატრიოტთა ალიანსი... ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია, თან ჯერ დრო არის — შემდეგი არჩევნები 2016 წელსაა.

— ანუ, ახლა ვადამდედი არჩევნების მოთხოვნასა და ფართომასშტაბიან აქციებს აზრი არ აქვს და არც ამის რესურსი გაქვთ, არა?

— ლოგიკურად, ვადამდედი არჩევნები ხალხის განწყობას უფრო რეალურად ასახავს და პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობაც შეიცვლება. ეს სასურველიცაა და საჭიროც, მაგრამ მაქვს ერთი კონტრარგუმენტიც — ამ ლოგიკით, პარლამენტი ნ თვეში ერთხელ უნდა შეიცვალოს, რადგან ხალხის განწყობაც ძალიან სწრაფად იცვლება. თუმცა ვადამდედი არჩევნების მოთხოვნას აზრი არ აქვს, თუ არ შეიცვალა საარჩევნო გარემოს სამი ძირითადი საკითხი: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, რადგან იანვრიდან, მთელი ცესკო ფორმალურად „ქართული ოცნებისა“ იქნება; საარჩევნო სისტემა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ „ოცნებამ“ თბილისში 45% და 75 მანდატი მიიღო და გამოდის, არსებული სისტემით, 30 მანდატი „მოიპარა“ და მესამე — მეტ-ნაკლებად თანაბარი წვდომის სატელევიზიო რეკლამისადმი. ამ ცვლილებებისა და საზოგადოების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი ამომრჩევლის ჩართვის გარეშე არც მორიგ, არც რიგგარეშე და არანაირ არჩევნებს აზრი არ აქვს!



ენების ევროპულ დღესე ქართული ენას ნარმოადგინოს

სტოკჰოლმში „ევროპული ენების“ დღე გაიმართა. საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ამ დღის ფარგლებში პირველად წარმოდგენილი იყო ქართული ენაც. შედეგად ქართული ენის საელჩომ სტოკჰოლმის სკოლების მოსწავლეებისთვის გამართა პრეზენტაცია ქართული ენის შესახებ.

ლონისძიების ორგანიზატორია შედეგად ევროკომისიის წარმომადგენლობა, რომელიც „ევროპული ენების“ დღის ფარგლებში ატარებს ონლაინკონკურსს შედეგის სკოლების მოსწავლეებისათვის (მე-7 კლასიდან ზევით) სხვადასხვა ენების, მათ შორის ქართული ენის ცოდნის გამოსავლენად.

ალსანიშნავია, რომ „ევროპული ენების“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 26 სექტემბერს ვილინუსშიც გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საელჩომ. ქართული კუთხე დამთავალიერებლებს სთავაზობდა ინფორმაციას ქართული ენის შესახებ, აგრეთვე საქართველოს საელჩომ წარმომადგინა სხვადასხვა მასალა საქართველოს კულტურის, ტურ-იზმისა და ლიტერატურის შესახებ.

ენების ევროპული დღე 2001 წელს დაწესდა ევროპის საბჭოს მიერ, რათა აღენიშნა ევროპის კულტურული მრავალფეროვნება და მრავალენოვნება. მისი მიზანია ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანაში მცხოვრები რვაასი მილიონი ადამიანის ნახალისება — ისწავლონ მეტი ენა.

„ინტერპრესნიუსი“



2015 წლიდან თამბაქო კვლავ გააქირდება

2015 წლისათვის თამბაქოზე აქციზის გადასახადი კიდევ ერთხელ მოიმატებს. თამბაქოს გაძვირებით სახელმწიფო მწველთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს. თამბაქოზე აქციზის ეტაპობრივი ზრდა თამბაქოს კონტროლის შესახებ გაერო-ს ჩარჩო კონვენციის ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

„ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებებისა და სიკვდილიანობის მხრივ არასახარბილო მდგომარეობაა. წელიწადში 11 ათასი ადამიანი იღუპება, აქედან 3 ათასი ადამიანი პასიური მწველია. თამბაქოს კონტროლის შესახებ გაერო-ს ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული მუხლებთან უნდა მოვიდეთ შესაბამისობაში. მწველთა რაოდენობის შემცირების მიზნით, კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა ეტაპობრივად თამბაქოზე აქციზის ზრდა. ერთხელ ეს უკვე მოხდა. შესაბამისი ეტაპი იქნება 2015 წელს. გაიასად გათვალისწინებულია თამბაქოზე აქციზის გადასახადის მატება“, — განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხუნდაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარე ჯერჯერობით ვერ აზუსტებს, რაოდენობით შეიძლება გაიზარდოს აქციზის გადასახადი და რა ფასი იქნება თამბაქოს პროდუქციაზე. მისი თქმით, ამას ფინანსთა სამინისტრო დათვლის.

აქციზის გადასახადის გაზრდის გამო, თამბაქოზე ფასი რამდენიმე თვის წინ ერთხელ უკვე გაიზარდა.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში ყოველ მეორე ოჯახში მოქალაქე

მირაბ ბერიძე
599-45-50-26

ოჯახური ძალადობა გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული და დამანგრეველი ფორმაა, რომელსაც ოჯახის რომელიმე წევრი სხვა წევრებზე ახორციელებს. იგი არის განმეორებადი, ხშირი სექსუალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური შეურაცხყოფა, რომელიც მოძალადის მიერ სხვაზე (მსხვერპლზე) კონტროლსა და ძალაუფლების მოპოვებას გულისხმობს. ხშირად იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც შეიძლება სასიკვდილო შედეგით დასრულდეს. ძალადობა, უმეტესწილად, ღარიბ ოჯახებში იჩენს თავს, რასაც ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაც უწყობს ხელს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ძირითადად, ქალები და ბავშვები ხდებიან. იმის მიუხედავად, მსხვერპლი უშუალოდ ბავშვია თუ არა, ოჯახში ძალადობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოში ოჯახური ძალადობის შესახებ ხმამაღლა ნაკლებად საუბრობენ — თავად მსხვერპლი ვერ ბედავს ტკივილის სხვათაგან განიარსებას; ხშირად, არც იცის, ვის მიმართოს დახმარებისთვის; სტატისტიკა რეალურ ვითარებას ნაკლებად ასახავს, რადგან მსხვერპლი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სამართალდამცავებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. უკიდურეს შემთხვევადაც კი, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის შექმნილი რეალური საფრთხე იგულისხმება. ხანდახან მსხვერპლი ვერ აცნობიერებს, რომ მასზე ძალადობენ. „ვერსია“ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის, „საფარის“ დირექტორს, ანა ქვინტის ესაუბრა.

— კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახური ძალადობის თვალსაზრისით, საქართველოში ურთულესი მდგომარეობაა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია, რადგან ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად აქაა კონცენტრირებული.

ბოლო სამ თვეში 14-მა კაცმა მოკლა ყოფილი ცოლი — რაცომ გახშირდა ძალადობა და როგორ უნდა შეიცვადოს სახედმნიფო პოლიცია



— ძალადობის გახშირების მიზეზები სად უნდა ვეძიოთ? — შემადრწუნებელია, რომ 2014 წლის სამი თვის განმავლობაში, მეუღლის მიერ ყოფილი ცოლის 14 მკვლელობა დაფიქსირდა. მოძალადეებიდან მხოლოდ ორი იყო ყოფილი პატიმარი. ანუ, ვერ ვიტყვი, რომ ამ ადამიანებმა ციხეში ყოფნის გამო ჩაიდინეს დანაშაული. ვითარება ასე გართულდა, რადგან ოჯახური ძალადობა არ ისჯებოდა, ოჯახის შიდასაქმედ ითვლებოდა და საზოგადოების ნაწილს ახლაც ასე მიაჩნია. ამ მიუღებელ რეალობაზე წლებია არავინ რეაგირებს და მოძალადეც დაუსჯელი რჩება — არ ვერვით ძალადობრივ პროცესში, მიგაჩნია, რომ ეს ოჯახის საქმეა მხოლოდ, არადა ჩარევით, შეიძლება, კონკრეტულ შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვისნათ. — საზოგადოების გულგრილობა რამ გამოიწვია? — ოჯახური ძალადობა მარტო საქართველოს პრობლემა არაა, მაგრამ ჩვენში დიდი წვლილი მიუძღვის მშობლებს, აღზრდას, ასევე ზოგად წარმოდგენას ქალსა და მამაკაცზე, მათ როლზე... გვასწავლიან, რომ მამაკაცი ოჯახის უფროსია, ყველაფერი მას უნდა ვკითხოთ, ქალმა კი ბევრი უნდა მოითმინოს. როცა საქართველოში ორი შვილი ჩნდება, ბიჭი და გოგო, მშობლები ქალიშვილს ქონებას არ უთმობენ — მიიჩნევა, რომ უნდა გათხოვდეს და სახლიდან წავიდეს, ამიტომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს ნასასველი არსად აქვთ. სურთ, თავს უშველონ, აღარ მოითმინონ წამება, მაგრამ ვერსად მიდიან. კიდევ ერთი პრობლემა ის, რომ საქართველო, არასრულწლოვანთა ქორწინების თვალსაზრისით, ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა.

14-16 წლის გოგონები, სწავლას თავს ანებებენ, რაც შემდგომში მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას — არ აქვთ საკუთარი შემოსავალი, საცხოვრებელი, უსუსურები არიან ცხოვრების გამონწვევის წინაშე.

— მენტალიტეტი როგორ უნდა შეიცვალოს, ცნობიერება როგორ ამაღლდეს?

— უმნიშვნელოვანესია სკოლებში განათლება. ჩვენ ვცდილობთ ცნობიერების ამაღლებას, ტრენინგებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე პროფესიონალებსაც ვუტარებთ და მოსახლეობასაც. რეგიონებში, ფაქტობრივად, ყოველ მეორეში ოჯახში აქვს ადგილი ძალადობას, განსაკუთრებით მძიმე ვითარება კახეთში, შიდა ქართლში, სვანეთსა და ზემო აჭარაში. თუმცა, პრობლემა მაინც თბილისშია, სადაც ეს მანკიერი წრე უფრო ჩაკეტილია. სამაგიეროდ, დედაქალაქში სერვისებია უფრო ხელმისაწვდომი.

— არსებული სახელმწიფო სერვისები საკმარისია?

— არა. პირველად, 2006 წელს მიიღეს კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, რომელიც ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილების მექანიზმებსაც (შემაკავებელი და დამცავი ორდერები) ითვალისწინებს. კანონმდებლობა ნელ-ნელა ვითარდება, კიდევ ბევრია დასახვეწი. ბოლო 14 მკვლელობა განსაკუთრებით შემზარავი იყო და გარკვეული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, მაგრამ მარტო სამართლებრივი ცვლილებები შედეგს არ მოიტანს — საჭიროა ბევრი სერვისი, როგორც ძალადობის მსხვერპლთათვის, ისე მოძალადეებისთვის. ქვეყანაში სულ სამი თავშესაფარი გვაქვს, სადაც თავისუფალი ადგილი არაა. არადა, ბევრ ქალს სჭირდება მოძალადისგან გარიდება; ასევე არ არის კრიზის-ცენტრები — სანამ დამტკიცდება, რომ ქალი ძალადობის მსხვერპლია და თავშესაფარში მოხვდება, სად წავიდეს, გაუგებარია. რეაბილიტაციის სერვისიც მწირია — მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სთავაზობს ამ ადამიანებს ადგილს აღდგენით მომსახურებას. რეაბილიტაცია საჭიროა მსხვერპლი ქალებისთვისაც და მოძალადე მამაკაცებისთვისაც. სახელმწიფო თავშესაფრები კი გათვალისწინებულია მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისთვის.

მნიშვნელოვანია ბავშვების მდგომარეობა — თუ ძალადობრივ გარემოში იზრდებიან, ნებისმიერ შემთხვევაში მსხვერპლი არიან, არ აქვს მნიშვნელობა, უშუალოდ მათზე ხორციელდება თუ არა ძალადობა.

— ქალები ღიად მიმართავენ თავშესაფრებს?

— არა, მაგრამ თავშესაფრებში ადგილი არაა მათთვისაც კი, ვინც ღიად მიმართავს სერვისებს, არადა მიმართვიანობის მაჩვენებელი დაბალია — შიშის, სირცხვილის... გამო.

— არსებული ვითარებიდან რა გამოსავალი არსებობს?

— კანონმდებლობა უფრო უნდა დაიხვეწოს, ქმედითი სარეაბილიტაციო სერვისები ამოქმედდეს. თავშესაფრებში დაზარალებულების რეაბილიტაცია არ ხდება და არავინ იცის, სამი თვის შემდეგ სად მიდიან ეს ადამიანები. მათთვის უნდა შეიქმნას სხვადასხვა უნარ-ჩვევების, ხელობის შემსწავლელი კურსები, რათა პროფესიას დაეფუძვონ, გაძლიერდნენ. მათ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია ერთობლივად სჭირდებათ. ჩვენ თავშესაფარ გვქონდა ქალებისა და ბავშვებისთვის. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კარგი რეაბილიტაციის პირობებში, მათ ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელება შეუძლიათ, მაგრამ სამი თვე არაა საკმარისი. გვყავდა ქალი, რომელსაც არასოდეს უმუშავია, ადრე გათხოვდა, შვილები გაუჩნდა, ათწლიანი ძალადობის შემდეგ სახლიდან წამოსვლა მოახერხა, თავშესაფარში გაიარა სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, შეისწავლა ხელობა და დღემდე დამოუკიდებლად ცხოვრობს თავის შვილთან ერთად. ძალადობა თაობიდან თაობას გადაეცემა — ჯაჭვი თუ არ განწყდა, მანკიერი წრე ტრიალი უსასრულოდ გაგრძელდება. შვილები მშობლებისგან სწავლობენ და მერე ძლიერი სუსტზე ძალადობს — მეუღლეზე გამწარებული ქალი, ჯავრს ბავშვზე იყრის ხოლმე.

— რეაბილიტაციის სერვისებთან დაკავშირებით ხელისუფლებას ხომ არ მიმართეთ?

— მთავრობის წევრებთან შეხვედრები გვაქვს ხოლმე და გარკვეულ თანამშრომლობაზე მოდიან. ახლა, კანონმდებლობაში ცვლილებები შეაქვთ. იმედია, ამ საკითხზე მეტ ყურადღებას გაამახვილებენ, მეტ თანხას ჩადებენ, რაც ჯანსაღი მომავლის განინდობს იქნება. ძალადობა ერთი კონკრეტული ოჯახის პრობლემა კი არა, მთელი საზოგადოების გამოწვევაა — თუ სადმე ასეთი რამ ხდება, აუცილებლად უნდა ჩავერიოთ, იქნებ ერთი ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინოთ.

პროფკავშირები შრომის კოდექსში სვლილებებს ითხოვს

„ქალებს არ აქვთ გარანტია, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ სამსახურს შეინარჩუნებენ“

მირაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტი მოითხოვს, შრომის კოდექსში ცვლილებების მეორე ეტაპი დაჩქარდეს. ოფიციალური სტატისტიკით, ყოველი მეორე ორსული აბორტს იკეთებს, რაც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობისთვის კატასტროფაა. პროფკავშირები ამ მხრივ შექმნილ ვითარებას ქალთა უფლებობას, უმუშევრობასა და მძიმე შრომით პირობებს უკავშირებენ: „ქალებს არ აქვთ გარანტია, რომ ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ სამსახურს შეინარჩუნებენ. დეკრეტულ შვებულებაში ყოფნისას გამოყოფილი თანხა არასაკმარისია ერთზე მეტი ბავშვის რჩენისთვის. სამსახურში აყვანისას ორსულობა შემადგენელი გარემოებაა; ორსულებსა და მრავალშვილიანებს, პრაქტიკულად, არ ეძლევათ სამსახურებრივი წინსვლის პერსპექტივა. ამ პრობლემების გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა შრომის კოდექსში ცვლილებები დაჩქარდეს. წლების განმავლობაში ვითხოვდით და დღემდე ვითხოვთ, ქვეყანამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციის რატიფიცირება მოახდინოს დედობის დაცვის შესახებ; მით უმეტეს, რომ ბოლო 12 წელია, საქართველოს ხელისუფლებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არც ერთი კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია. კარგი იქნება, თუ პირველივე ეტაპზე მოხდება სწორედ დედობის დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირება, რაც კიდევ ერთი დასტური იქნება, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული“.



ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია დაუშვებელია: „კოდექსში არსებობს ჩანაწერი, რომ ორსულობა და მშობიარობა არ შეიძლება გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. თუ ამ თვალსაზრისით რაიმე კიდევ არის დასახვეწი, მზად ვართ ჩავერთოთ პროცესში“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დამურ გიორგაძე აცხადებს, რომ პროფკავშირების ეს სამართლიანი მოთხოვნები კანონში რომც ჩაინეროს, ბევრს არაფერს შეცვლის — აუცილებელია ქვეყანაში საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება: „არსებული ტოტალური უმუშევრობის პირობებში, გარკვეულ ჩარჩოებში, პროფკავშირების ყველა მოთხოვნა სამართლიანი იქნება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სანახევრო ცვლილებებზეა საუბარი. ქვეყანაში მძიმე პირობებია, დაქირავებულს არანაირი უფლებები არ აქვს და ოდნავ უკმაყოფილება თუ გამოამუშავან, სამსახურიდან აგდებენ; უამრავი მსგავსი ფაქტია, მაგრამ ეს მოთხოვნები კანონში რომც ჩაინეროს, ბევრს არაფერს შეცვლის, ამიტომ აუცილებელია საერთო მდგომარეობის ცვლილება, რაც ჯერჯერობით არ ხდება. მიზეზი იმ ვრთიანი პოლიტიკის არარსებობაა, რომელმაც ყველა მიმართულებით უნდა დალაგოს როგორც შრომითი ურთიერთობები, ასევე ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას შეუწყოს ხელი“.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

		4			7	5		2
					5			
			1				8	6
	4	3			2	8		5
		7				3		
1		5	8			4	2	
5	7				1			
			3					
3		6	2			7		

								6
			1				2	9
			9	8	6			3
5		8			4	6		
1	7			5			2	9
		9	3			8		7
	8		5	6	9			
	5	2			3			
4								

4					5		8	7
							4	
		5	3				1	
6			4		2		1	
1			7		3			9
		7	6		1			2
	9				8	3		
	2							
3	6		5					4

		5	2			7		
	7			1				5
1		6		7	5			
						6	2	
2		4				1		7
	3	7						
			7	6		2		9
	4			5				8
		9			8	5		



ცელულიტს სამუდამოდ დაივიწყებთ

ამერიკულმა კომპანიამ Auxilium Pharmaceuticals ახალი საშუალება შექმნა, რომელმაც ცელულიტი უნდა დაამარცხოს. პრეპარატმა უკვე გაიარა გამოცდა და შედეგებმა აჩვენა, რომ სიახლე მნიშვნელოვნად ამცირებს ცელულიტს და „ფორთოხლის ქერქის“ ეფექტს, რომელიც მანდილოსნებს ბარძაყებსა და დუნდულებზე უჩნდებათ. ტესტირებაში 18-დან 45 წლამდე 150 ქალი მონაწილეობდა. ყოველ მათგანს სამ ეტაპად უტარდებოდა თერაპია ახალი პრეპარატით Xiaflex და პლაცებოთი. ყოველ ეტაპზე ცელულიტიან ადგილებზე 12 ინექცია კეთდებოდა. მონაწილეთა 68% მეტად კმაყოფილი დარჩა მიღებული შედეგით. სიახლის მასობრივ გამოყენებამდე კლინიკური ცდების მეორე ფაზაა, რომელიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს.

შაქრის შეზღუდვები ღიატყეს იწვევს

ხელოვნური დამატებები, რომელთაც რეკომენდაციას უწევს, როგორც ნატურალური შაქრის შედარებით ჯანსაღ ალტერნატივას, შესაძლოა, პირიქით, ხელს უწყობდეს დიაბეტის განვითარებას. როგორც გაარკვიეს სწავლულებმა ისრაელიდან, შაქრის შემცველები ნეგატიურად მოქმედებს ნაწლავების მიკროფლორის შემადგენლობასა და ფუნქციაზე. გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ სწორედ ხელოვნურ დამატებებს, რომელთაც შეიცავს უამრავი სასმელი და პროდუქტი, უკავშირდება სიმსუქნისა და დიაბეტი, მსოფლიო ეპიდემია. ეს დასკვნები სწავლულებმა მღრღნელებზე დაკვირვების შედეგად გააკეთეს. ცხოველებს ან ჩვეულებრივ წყალს აძლევდნენ, ანდა ყველაზე პოპულარული დამატებებით — ასპარტამით, სუკრალოზითა და სახარინით. 11-კვირიანი ასეთი კვების შემდეგ თავგებს, რომელთაც შაქრის შემცველს აძლევდნენ, სისხლში შაქრის დონე ნახტომისებურად გაეზარდა. მათი ნაწლავების მიკროფლორის შესწავლამ აჩვენა ფუნქციებში გლობალური ცვლილება, იმის ანალოგიური, რაც დიაბეტსა და სიმსუქნეს უკავშირდება. მცირე ექსპერიმენტი სწავლულმა ადამიანებზეც ჩაატარეს, რამაც იგივე შედეგი აჩვენა.



კაფე მეძუძური დედებისთვის

ბოლო დროს ხალხმრავალ ადგილებში ბავშვის ძუძუთი გამოკვება სირცხვილად მიიჩნევა და ბევრი ახალგაზრდა დედა ცდილობს, ამას თავი აარიდოს. ინგლისელმა ექსპერტმა ემა კენონმა გადაწყვიტა ეს პრობლემა გადაეჭრა და ნისლიანი ალბონის დედაქალაქში კაფე გახსნა მეძუძური დედებისთვის. ლონდონელ ქალბატონებს შეუძლიათ, აბონემენტი შეიძინონ 175 გირვანქა სტერლინგად და Breastfeeding Cafe-ის წევრები გახდნენ. აქ მათ არა მხოლოდ კომფორტული გარემო დახვდებათ ჩვილის ძუძუთი გამოსაკვებად, არამედ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასაც მიიღებენ, სპეციალურად მეძუძური დედებისთვისაა შექმნილი მენიუსი.

წინა ნომერში გასული სკანოკრდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი	სტანდარტი	ადვილი	სტანდარტი																																																																																																																																																																																																																																																																																																																																				
